

“2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში მიღიარდიანი დევიციტია”

გაზეთი “ახალი კომერსანტი” – 12-19 მაისი, № 17, 2008

მთავრობა ისევ ინვესტიციების მოლოდინშია და წინასაარჩევნოდ ახალი სამუშაო ადგილების შექმნას სწორედ მოზღვავებული უცხოური კაპიტალის იმედად გვპირდება. პრემიერ-მინისტრის ინფორმაციით, 2008 წლის პირველ კვარტალში უკვე შემოსულია 514 მილიონი დოლარი, რომელიც, რაც უნდა გასაკვირი იყოს, სამუშაო ადგილებს არ ქმნის. 514 მილიონი დოლარი თითქმის მთლიანად პრივატიზაციიდან მიღებული თანხებია, რაც პასიურ ინვესტიციებს განეკუთვნება და სამუშაო ადგილის შექმნაზე არ არის ორიენტირებული. გარდა ამისა, გაზეთმა “ახალმა კომერსანტმა” წინა ნომერში აღმოაჩინა, რომ სამივე სტრუქტურის მონაცემები, რომლებიც ქვეყანაში შემოსულ ინვესტიციებს ითვლიან, ერთმანეთთან შესაბამისობაში არ მოდის. “ახალმა კომერსანტმა” ამ თემის გაგრძელება გადაწყვიტა და შეეცადა, გაერკვია, ვინ როგორ ითვლის საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციებს, არსებობს თუ არა დათვლის პრინციპი და რატომ არ შეცვალა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა 2007 წელს შემოსულმა ორმილიარდიანმა ინვესტიციამ.

საქართველოში ინვესტიციებს სამი სტრუქტურა ითვლის:

ყველა კაპიტალდაბანდებას, რაც საბანკო სფეროში ხორციელდება, ეროვნული ბანკი აღრიცხავს. ბანკში თავს იყრის ის თანხები, რაზეც ინვესტორები ხელშეკრულებას გააფორმებენ.

ეკონომიკური განვითარების სამინისტრო მხოლოდ საპრივატიზაციო პროცესს აკონტროლებს. სახელმწიფო ქონების გასხვისებიდან შემოსული თანხები სამინისტროში აკუმულირდება.

ორი სტრუქტურის მონაცემები საბოლოოდ სტატისტიკის დეპარტამენტში იგზავნება. საბანკო სფეროში განხორციელებულ ინვესტიციებსა და პრივატიზაციის თანხებს დეპარტამენტი აჯამებს და მას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობასაც უმატებს. ამისათვის დეპარტამენტი კერძო საწარმოებში სპეციალურ გამოკითხვას ატარებს და არკვევს, სად რა რაოდენობის კაპიტალი ჩაიდო. ყველაფერ ამას ერთად ინვესტიციები ჰქვია, რითაც მთავრობა დასაქმების პროლემის გადაწყვეტას აპირებს. ამ ინვესტიციების დიდი ნაწილი პრივატიზაციიდან შემოსული თანხებია, რომელიც ბიზნესივრცებზე გავლენას არ ახდენს და პირადიო სახელმწიფო ბიუჯეტში მიიმართება.

სად იხარჯება პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები და რატომ გვაქვს ერთ მილიარდ ლარზე მეტი დეფიციტი, როცა მთავრობა გვიმტკიცებს, რომ ბიუჯეტი პროფიციტულია? ამ საკითხებზე გაზეთი “ახალი კომერსანტი” პარლამენტის წევრს, ეკონომიკის ექსპერტ ლადო პაპავას ესაუბრა.

– სახელმწიფო ბიუჯეტში უცხოური ინევსტიციების რა ნაწილი აისახება, ითვლება თუ არ გრანტები ინვესტიციად და როგორ იყრის ეს ყველაფერი თავს ბიუჯეტში?

– ინვესტიციები, რომელიც ერთი კერძო მესაბუთობის მეორეთი შეცვლას გულისხმობს, ან თუ რომელიმე კერძო კომპანიამ თავისი წარმოების გააფართოება გადაწყვიტა, ბიუჯეტში არ აისახება. ბიუჯეტში მხოლოდ ის ინვესტიციები ფიქსირდება, რომელიც სახელმწიფო ქონების გაყიდვითაა მიღებული, ან რომლებიც ბიუჯეტის ხარჯზე იქმნება და ამ გზით ახლადაშენებული ობიექტები სახელმწიფოს საკუთრებაშია. პრივატიზაციის შედეგად შემოსული თანხები ბიუჯეტში აკუმულირდება. პრივატიზაცია კი – ეს არის ინვესტიცია იმ კომპანიისთვის, ვინც სახელმწიფო ობიექტს ყიდულობს. თუმცა ამ შემთხვევაში, ერთ პრობლემას ვაწყდებით – ეს შემოსული თანხების აღრიცხვის საკითხია. საქმე ისაა, რომ 2008 წლამდე ბიუჯეტს სხვა მეთოდოლოგიით ვადგენდით. მიმდინარე წლიდან კი ბიუჯეტის შედგენა თვისობრივად ახალი მეთოდოლოგიით დაიწყო. ამიტომ, თუ მოინდომებთ, რომ ბიუჯეტში ამ ინვესტიციების ადგილი იპოვოთ,

გაგიჭირდებათ. ეს გამოცდილი ეკონომისტისათვისაც კი ძალიან ძნელია. სახელმწიფიო კომპანიების მიერ მოზიდული დამატებითი კაპიტალი სახელმწიფო ბიუჯეტში აუცილებლად ფიქსირდება.

რაც შეეხება გრანტებს, აქ ორი ტიპის გრანტი არსებობს. ერთი, რომელსაც სახელმწიფო საერთაშორისო ორგანიზაციებიდან იღებს და გრანტები, რომელსაც სახელმწიფო გასცემს. გრანტი კი ინგენიერია არ არის.

– რას გულისხმობს დათვლის მეთოდოლოგიის შეცვლა და ახალი მეთოდოლოგია? რატომ აღარ შედის არასაგადასახო შემოსავლებში პრივატიზაციის თანხები და საერთოდ, რა იგულისხმება არასაგადასახო შემოსავლებში, მხოლოდ სალიცენზიონ მოსაკრებლები?

– სწორედ ეს არის ახალი მეთოდოლოგიის მთავარი პრინციპი, რაც თქვენ ახსენეთ. 2008 წლამდე შედგენილ ბიუჯეტში საგადასახლოსთან ერთად აისახებოდა არასაგადასახადო შემოსავლები, სადაც გრანტები და კაპიტალური შემოსავლები, ანუ პრივატიზაციის თანხები შედიოდა. ახლა ბიუჯეტის აგების მეთოდოლოგია შეიცვალა და ბიუჯეტი მხოლოდ არაფინანსური აქტივების ზრდასა და კლებას აფიქსირებს. არაფინანსური აქტივების ზრდა მშენებლობები და ინვენტარ-მოწყობილობის შეძნაა, ხოლო კლება, მაგალითად, – პრივატიზაცია. ძველიდან ახალზე გადასვლის მეთოდოლოგია საკმაოდ რთულია. მკლიონებებისთვის რომ თვალსაჩინო გავხადოთ შექმნილი სიტუაცია, მარტივ მაგალითს მოვიყვან, თუ რა თვისობრივ განსხვავებას იძლევა მეთოდოლოგიის ცვლილება. ახალი მეთოდოლოგიით, 2008 წლის ბიუჯეტში მთავრობამ ფისკალურად დაითვალა და პროფიციტი, ანუ შემოსავლების სიჭარბე 275 ათასი ლარით დაფიქსირდა. თუ მონეტარული, ანუ ძველი მეთოდოლოგიით დავითვლით, პროფიციტი კი არა, 355 მილიონ ლარზე მეტი დაფიციტი გვაქვს. როცა ბიუჯეტში ევრობლიგაციებთან დაკავშირებით ცვლილება შეიტანეს, ფისკალურად პროფიციტი 1 მილიონ 275 ათასი ლარი დაფიქსირდა, ძველი მეთოდოლოგიით კი დაფიციტი მილიარდ 209 მილიონზე მეტია. მაშასადამე, ბიუჯეტი არაფინანსური აქტივების ცვლილებაზეა აგებული.

– ინგესტიციების დათვლის რა პრინციპი არსებობს და როგორ იყრის თავს ინგესტიციები სტატისტიკის დეპარტამენტში?

– სტატისტიკაში ყველა ინგესტიცია უნდა აღირიცხებოდეს. ობიექტების ყიდვა-გაყიდვის აქტის შედეგად მიღებული თანხა უნდა ფიქსირდებოდეს. მაგალითად, „ნატახატრი“ თურქულმა „ეფესმა“ შეიძინა. ეს ამ კომპანიისთვის ინგესტიციაა და სტატისტიკაში ეს ინფორმაცია უნდა ასახოს, როგორც ქვეყანაში შემოსული ინგესტიცია. არსებობს, აგრეთვე, პორტფელური ინგესტიციები. ამ დროს კომპანია უშვებს ფასიან ქაღალდებს და ბირჟაზე ანთავსებს. ესეც ინგესტიციაა. რაც შეეხება დათვლის მეთოდოლოგიას, რაიმე კონკრეტული პრინციპი არ არსებობს. შემოდის ინგესტორი, ფორმდება ყიდვა-გაყიდვის აქტი და ეს ყველაფერი ჩვეულებრივად ჯამდება.

– სად უნდა წავიდეს პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები. რატომ იხარჯება ეს თანხები სოციალურ პროგრამებზე და არა ბიზნესის განვითარებაზე?

– პრივატიზაციის თანხების გამოყენების ორი პრინციპული გზა არსებობს. როცა ქვეყანას უჭირს და ბევრი სოციალური პრობლემაა, პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები ემატება დანარჩენ შემოსავლებს ბიუჯეტით გაწერილ მუხლებზე იხარჯება. თუ ქვეყანას განსაკუთრებული სოციალური გასაჭირი არა აქვს, მას შეუძლია სპეციალური ფონდები შექმნას, თუნდაც მცირე ბიზნესის ხელშეწყობისთვის. მაგალითად, საქართველოში არსებობს „იაფი სესხის პროექტი“, რისთვისაც ბიუჯეტიდან გარკვეული თანხები გამოიყოფა. ბიუჯეტში კი სხვა გადასახადებთან ერთად, როგორც ვიცით, პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლებიც შედის. ასე, რომ ეს პროექტი „საერთო ქვაბიდან“ ფინანსდება.

– თქვენ გაზეთ „ახალ კომესარსანთან“ განაცხადეთ, რომ პრივატიზაცია პასიური ინგესტიციაა. რა ფისკალური შედეგები მოაქვს ასეთ ინგესტიციებს?

– ეს პირობითი დაყოფაა. საქართველოში შემოსული ინვესტიციების დიდი ნაწილი მხოლოდ მესაკუთრის შეცვლას გულისხმობს. ეს არ არის ინვესტიცია, რომელიც ჩვენს ეკონომიკას დროის მოკლე პერიოდში შეცვლის. თუ „ეფესი“ „ნატახტარზე“ დამატებით ფულს დახარჯავს, იქ ახალ საწარმოო ხაზებსა და ახალ ტექნოლოგიებს დანერგავს, ეს უკვე ეწ. აქტიური ინვესტიცია იქნება. თუ სახელმწიფომ მიწა გაყიდა კონკრეტული მიზნისთვის, მაგრამ იქ მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა, ეს თავისი შინაარსით პასიური ინვესტიციაა და ამას არანაირი ფისკალური შედეგი არ მოყვება, გარდა იმისა, რომ გაყიდვიდან მიღებული თანხა შევა ბიუჯეტში.

– პრემიერ-მინისტრმა 2007 წლის მეოთხე კვარტალი ჩავარდნილ პერიოდად გამოაცხადა, მაგრამ სტატისტიკის დეპარტამენტმა დააფიქსირა, რომ ყველაზე მეტი ინვესტიცია 2007 წლის ბოლო კვარტალში შემოვიდა. რატომ არის ასეთი შეუსაბამობა ოფიციალურ მონაცემებსა და პრემიერ-მინისტრის განცხადებებს შორის?

– ძალიან მიჰირს კომენტარის გაკეთება სტატისიტკის დეპარტამენტის მონაცემებსა და ჩვენი პრემიერ-მინისტრის განცხადებებზე. როგორც ვიციო, სტატისტიკა მთავრობის შემადგენლობაშია და მას რასაც უბრძანებს პრემიერ-მინისტრი, იმას აკეთებს. ხშირად მთავრობის წევრები არც კი კითხულობენ მთავრობაშივე მომზადებულ დოკუმენტებს. შეიძლება, ამ შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრს უბრალოდ წაკითხული არ ჰქონდა სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაცია. ძნელია ამ თემაზე საუბარი, რადგან ხშირად მინისტრები და პრემიორ-მინისტრი ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებენ.

– პარლამენტში ვინ აკონტროლებს ინვესტიციების საკითხს. ვგულისხმობ, ზეპირად დაფიქსირებულ თანხებს, რომლებიც მოგვიანებით იცვლება. მაგალითად, ენერგეტიკულ ობიექტებს ენერგო-პრო ჯორჯიას ჩეხური კომპანია 320 მილიონ დოლარად ყიდულობდა და ეს ოფიციალურად გაუღერდა კიდეც. მოგვიანებით კი ხელი მოეწერა დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც 72 მილიონი დოლარი იქნა გადახდილი.

– ამ საკითხებს პარლამენტში დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი სწავლობს. მე რამდენადაც ვიცი ეს საკითხი კომიტეტზე განიხილებოდა. რაიმე განსაკუთრებული დასკვნა რომ ყოფილიყო ეს აუცილებლად გახმაურდებოდა. ხსენებული 320 მილიონი იყო მხოლოდ საჯაროდ დაფიქსირებული განაცხადი, თუმცა ხელი გაცილებით ნაკლებ თანხას მოეწერა. სწორედ ეს არის ჩვენი პრივატიზაციის ნაკლი და თვალებში ნაცრის შეყრა. ჯერ რაღაცას გააბუქებენ და მერე მთავრობასა და ამა თუ იმ კომპანიას შორის ეჭვის აღმძვრელი გარიგებები ხდება, და რელაურად კი უფრო ნაკლები თანხა გადაიხდება. ამაში, პირველ რიგში, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სცოდავს, რომელიც სახელმწიფო ქონების პრივატიზაციას ახორცილებს და ხელშეკრულებასაც აფორმებს.

– 2007 წელს საქართველოში ოფიციალურად 2 მილიარდამდე ინვესტიცია შემოვიდა. რა შეცვალა ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებისა და დასაქმების კუთხით?

– თითქმის არაფერი შეცვლილა. ინვესტიციების 90%-ზე მეტი მესკაუთრის შეცვალა და სხვა არაფერი. მარტო ის, თუ ვინ იქნება ამა თუ იმ კომპანიის მფლობელი, ეკონომიკისა და დასაქმების თვალსაზრისით, არაფერს ნიშნავს. ეს რომ შინაარსით აქტიური ინვესტიცია ყოფილიყო, ხელს შეუწყობდა დასაქმებას. ის რომ ქვეყანაში ორი მილიარდი დოლარის უცხოური ინვესტიცია შემოდის, ქვეყნის ეკონომიკის აყვავებას ჯერ კიდევ არ ნიშნავს. ეს ხომ ძირითადად სპეციალიური კაპიტალია.

მაია მამულაშვილი